ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2017-238-01

19 ოქტომბერი 2017 წ.

ქ.თბილისი

ერთის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის აპარატის პირველი მოადგილის ნათია კაციტაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ლიმონი +" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნ. სოხაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის ს1 (5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა - მონეტარული ზღვრების შესაბამისად) პუქტის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი მიწოდების ვადები

2.1. მიმწოდებელი 10 სამუშაო დღის განმავლობაში აწვდის შემსყიდველს ცხრილში მითითებულ შემდეგ საქონელს (ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში)

	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	მაგიდის ტილო - CPV კოდი 39525800	შეკვრა	1	5,40	5,40
2	გოფრირებული ღრუბელი - CPV კოდი 39525800	ცალი	1	0,3	0,3
3	ჭურჭლის ქილე -- CPV კოდი 3983200	ცალი	1	2,7	2,7
					8,40

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8,40 (რვა ლარი და 40 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედდებული ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი მალხაზ საბანიძე - ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის მთ.სპეციალისტი
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი;
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის: ქ.თბილისი ნ.რამიშვილის 6 საიდ.კოდი: 203860679 ტელ: 2913814/15 ფაქსი: 2913841 ელ–ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა: 200122900 სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე	შპს "ლიმონი +" ს/: 405081003 მის: ქ. თბილისის, ნინო რამიშვილის ქ., N 22 ტელ: 599 70 70 82; 558212212 თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22 ა/ა GE90TB7372936080100005 დირექტორი ნ.ხოხაძე